

ქ. თბილისი,

16 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ირაკლი ბერეკაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯორჯიათრეიდი“ (შემდგომში-მიწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ხატიაშვილის სახით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის მე-1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.
- 1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.3. მიწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.
- 1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვლისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი 2016 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ფარგლებში, **რკინის კარების** (CPV კოდი - 44221200) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	შემოსასვლელი რკინის კარების დამზადება მონტაჟთან ერთად	ალუმინის მასალისაგან დამზადებული ძველი კარების დემონტაჟი; ლითონის მასალა; ორფრთიანი; ერთი ფრთა დიდი ზომით არანაკლებ 218სმ*84სმ; მეორე ფრთა (პატარა) ზომით არანაკლებ 218სმ*24სმ; არანაკლებ 3 პეტლით; კარების ირივე ფრთა აწყობილი უნდა იყოს ფურცლოვანი ლითონით, რომლის შიგთავსიც უნდა იყოს საიზოლაციო ფენით შევსებული; კარებს უნდა გააჩნდეს რკინის სახელური; კარის ჩარჩო აწყობილი უნდა იყოს შველერზე, რომლის ზომა უნდა იყოს არანაკლებ 10სმ (#10); კარის ზედა ფრთა უნდა იყოს უმოძრაო, თეთრი ფერის გაუმჭვირვალე შუშით, ზომით 110სმ*110სმ; კარებს უნდა ქონდეს ორი საკეტი; რკინის კარების საკეტი მექანიზმი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 გასაღებისაგან, უნდა გააჩნდეს შიდა მხრიდან მარტივი ჩამკეტი, ასევე, თვით ჩამკეტი-შვეიცარი (ჰიდრაულიკური საკეტი).	1	1422,00	1422,00

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის დეტალური აღწერა მოცემულია ცხრილში.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1422,00 (ერთიათას ოთხას ოცდაორი) ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების საგნის ერთეულის ფასები მოცემულია ცხრილში.
- 3.3. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

- 4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშ-ფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 8.1 პუნქტში მითითებული პირები.
- 4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
- 4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე 10 (ათი) დღის ვადაში.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების პირობა, გარანტია, ადგილი და ვადა

- 5.1 საქონლის მიწოდება და მონტაჟი განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვარკეთილის მასივი, მე-10 კვარტალი, "ზ" კორპუსის (კახეთის გზატკეცილის გასწვრივ) შენობაში.
- 5.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
- 5.3 მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი, უმაღლესი ხარისხის, უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და შეესაბამებოდეს დანართში მითითებულ მწარმოებლების სტანდარტებს.
- 5.4 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია 1 (ერთი) წელი, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან. საგარანტო პერიოდში წუნდებული პროდუქციის შეკეთება ან შეცვლა მიმწოდებლის მიერ უსასყიდლოდ უნდა განხორციელდეს შეტყობინებიდან არაუმეტეს 15 დღის განმავლობაში.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 27 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
- ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
 - ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- 7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
- ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
 - ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

მუხლი 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლები - სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის სამეურნეო განყოფილების უფროსი.
- 8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდული საქონლის ხარისხის შემოწმებას.
- 8.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ან ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
- 8.4. ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. პირგასამტეხლო

- 9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.
- 9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

- 10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
- 10.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 11.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
 - ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
 - ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 11.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

მუხლი 12. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

- 12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 12.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 13. შეტყობინება

- 13.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

მუხლი 14. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. სხვა პირობები

- 15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო
დახმარების ცენტრი“

მის: თბილისი, ქერჩის ქ. N8
ტელ: 2 547099
ს/კ 200280141
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში, სახაზინო კოდი: 300779921

დირექტორის მოადგილე
/ირაკლი ბერეკაშვილი/

მიმწოდებელი
შპს „ჯორჯითრეიდი“

მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N80
ტელ: 599 56 28 64; 220 00 88.
ს/კ 405048158
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
აა: GE21BG000000829655400

დირექტორი

/დავით ხატიაშვილი/